ოქმი N1

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,სენაკი საქართველოსთვის" სხდომისა, რომელიც ჩატარდა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისრაციულ შენობაში 2024 წლის 20 ნოემბერს.

სხდომა დაიწყო 17 საათზე

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ირაკლი კაჭარავა, ედიშერ ბაღათურია, ნინო ტყებუჩავა, ნიკოლოზ შამათავა.

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს წევრი ირაკლი კაჭარავა სხდომის მდივანი საკრებულოს წევრი ნინო ტყებუჩავა

დღის წესრიგი

1. სენაკის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა.

ჩატარებული კენჭისყრის თანახმად დამტკიცებულ იქნა წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტი.

1. მოისმინეს სენაკის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი და შესაბამისი განმარტებითი ბარათი

მომხსენებელი ფრაქცია ,,სენაკი საქართველოსთვის" თავმჯდომარე ირაკლი კაჭარავა მომხსენებელმა ფრქციის წევრებს გააცნო 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი და ყველა წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

ჩატარებული კენჭისყრის თანახმად სენაკის მუნიციპალიტეტის ფრაქცია ,,სენაკი საქართველოსთვის" წევრებმა 4 მომხრე არცერთი წინააღმდეგი 2025 წლის ბიუჯეტში შეიტანეს გარკვეული ცვლილებები დანართის შესაბამისად ( დანართი ფურცელი)

სხდომა დასრულდა 18 საათზე

ხელმომწერები :

ირაკლი კაჭარავა

ედიშერ ბაღათურია

ნინო ტყებუჩავა

ნიკოლოზ შამათავა

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციამ ,,სენაკი საქართველოსთვის" განიხილა სენაკის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი და შეიმუშავა გარკვეული შენიშვნები, რომელთა გათვალისწინება მიზანშეწონილად მიგვაჩნია. სამწუხაროდ, ბოლო წლებში ტენდენციად ჩამოყალიბდა ბიუჯეტის პროექტში სენაკის მუნიციპალიტეტის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის იგნორირება. ჩვენი აზრით, ბიუჯეტის პროექტი ასევე არ არის მორგებული პრიორიტეტების დოკუმენტს. ამავდროულად აღსანიშნავია, რომ ა(ა)იპების მიერ გაწერილ ბიუჯეტში დაფიქსირდა რამოდენიმე უზუსტობა სახელფასო ფონდის ზრდასთან დაკავშირებით. ასევე, გასათვალისწინებელია მოსმენის დროს ა(ა)იპის ხელმძღვანელების მიერ დაყენებული ინიციატივები, მათი დაფინანსების ზრდასთან დაკავშირებით.

| N | ინიციატივის დასახელება | თანხა | შენიშვნა |
|---|---|---|---|
| 1 | სამოქალაქო ბიუჯეტირების გაზრდა | ნაცვლად მითითებული 100 ათასი ლარისა გაიზარდოს 150 000 ლარამდე. | 2022 წლის ბიუჯეტში სამოქალაქო ბიუჯეტირება გათვალისწინებული იყო 100 000 ლარით, 2023 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო 150 000 ლარით, 2024 წლის ბიუჯეტში კი ისევ 100 000 ლარით. მზარდი ბიუჯეტის ფონზე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია აღნიშნული პროგრამის დაფინანსების გაზრდა |

| | | | |
|---|---|---|---|
| 5 | მუნიციპალიტეტში არსებული ყველა მუზეუმისა და ბიბლიოთეკის თანამშრომლების ხელფასის მატება | შემოთავაზებული 10 % - იანი მატების ნაცვლად ხელფასის მოცულობა განისაზღვროს ფიქსირებული 100 ლარით | 2025 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული 10 პროცენტიანი მომატების ნაცვლად ხელფასი გაიზარდოს ფიქსირებული 100 ლარით |
| 6 | გამოიყოს თანხები სენაკის ცენტრალური პარკში ,,ხსოვნის კუბის" შიდა და გარე განათების მოწყობის სამუშაოებისთვის. | | აუცილებელია, აღნიშნული სამუშაოები განახორციელოს შესაბამისი გამოცდილების მქონე კომპანიამ. ფრაქცია ,,სენაკი-საქართველოსთვის" აღნიშნულ ინიციატივას აყენებს 2022 წლიდან, რომელიც დღემდე არ შეუსრულებეულა |
| 7 | მექანიკურის დასახლებაში (ღვინჯილიას ქუჩა) საცხოვრებელი კორპუსების ფასადების რეაბილიტაცია და შიდა ეზოს კეთილმოწყობა (კორპუსების ირგვლის არსებული ღობის აღდგენა) | | აღნიშნული კორპუსები მდებარეობს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზაზე და წარმოადგენს პირველ საცხოვრებელ კორპუსებს ქალაქის შემოსასვლელში |
| 8 | განხორცილდეს ქალაქში არსებული გაუმართავი შუქნიშნების განახლება | | წერეთლისა და რუსთაველის ქუჩის კვეთაზე (რომელიც დაარეგულირებს აგრარული ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე მოძრაობის ნაკადს), ასევე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ჭავჭავაძისა და ჭყონდიდელის ქუჩის კვეთაზე ახალი შუქნიშნის მოწყობა. |
| 9 | განხორცილდეს გოგოლაძის (ყოფილ თეატრალურ) მოედანზე არსებული შადრევნის რეაბილიტაცია. | | ქალაქში არსებული არცერთი შადრევანი არ ფუნქციონირებს |

| | | | |
|---|---|---|---|
| 15 | საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოწყობა ქალაქის ტერიტორიაზე | | ქალაქში მოსწავლე ახალგაზრდობის შენობის მიმდებარედ არსებული საპირფარეშოს გარემონტება |
| 16 | მრავალბინიან საცხოვრებელ სახლების სადარბაზოებში სენსორული განათების მოწყობა | | ქალქის ტერიტორიაზე არსებულ 44 საცხოვრებელ კორპუსში შიდა განათების მოწყობა |
| 17 | ქალაქში არსებული მრავალწლიანი ნარგავების განახლება | | ჭავჭავაძის (ჭყონდიდელის ქუჩიდან ხორავას ქუჩამდე), ჭყონდიდელის, მშვიდობისა და ნინოშვილის ქუჩებზე |
| 18 | გოგოლაძის მოედანზე თეატრის აფიშისათვის შესაბამისი ცილინდრული სტენდის (ტუმბო-სტენდი) მოწყობა | | ცილინდრის ფორმის მეტალის სტენდი აფიშებისთვის (სტენდის ნიმუში იხილეთ დანართი N 2-ში) |
| 19 | ელექტრო-მობილებისათვის დასამუხტი სადგურის მოწყობა | | ადგილობრივ მოსახლეობაში საკმაოდ ბევრია ელექტრომობილები, თუმცა მოსახლეობას არ აქვს საშუალება ისარგებლოს სწრაფი დამუხტვის სერვისით (აღნიშნული სერვისი არსებობს რეგიონის თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში) |
| 20 | შშმ ბავშვებისთვის განკუთვნილი ატრაქციონის მოწყობა | | აუცილებელია ცენტრალურ სკვერში დაემატოს შშმ ბავშვებისათვის განკუთვნილი ადაპტირებული ატრაქციონები |
| 21 | ახალგაზრდებისათვის მცირე ზომის სკეიტ-პარკის მოწყობა | | საკმაოდ ბევრი ახალგაზრდა გამოხატავს სურვილს, რომ ქალაქში არსებობდეს სკეიტ-პარკი. |
| 22 | ქალაქის ცენტრალურ ნაწილში არსებულ საცხოვრებელ სახლებსა და კორპუსებზე ქუჩების სახელისა და ნომერაციის აღმნიშვნელი აბრის (ე.წ. ტრაფარეტების) დამზადება და მონტაჟი | | გაამარტივებს საცხოვრებელი სახლებისა და ობიექტების მოძიებას და ნაწილობრივ მოაწესრიგებს ქალაქის იერსახეს |

| | | | |
|---|---|---|---|
| 30 | საბავშო გასართობი მცირე სივრცის მოწყობა ინდიკო სანაიას ქუჩაზე არსებულ სკვერში, ე.წ. მექანიკურის ბინების შიდა ტერიტორიაზე და ე.წ. დევნილთა დასახლებაში | | საბავშვო ატრაციონები ხელს შეუწყობს უმცროსი თაობის ჯანსაღ და ჰარმონიულ განვითარებას. |
| 31 | შესაბამისი ადგილის გამოყოფა და თანადაფინანსების მოძიება ატრაქციონების სკვერის მოწყობის მიზნით | | საბავშვო ატრაქციონების არსებობა აუცილებელია ბავშვთა ჯანსაღი გართობისა და დასვენების უზრუნველყოფისათვის, საბავშვო ატრაქციონებში შესაძლოა გათვალისწინდეს საბავშვო კარუსელის, საბავშვო ავტროდრომის, საბავშვო ელექტრო-მატარებლის, ,,მფრინავი გემის", ,,მოძრავი კალათის" და ა.შ. მოწყობა, აღნიშნული სივრცით შესაძლოა ისარგებლონ მეზობელი მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებმაც. |
| 32 | საკირეს მთაზე 1924 წლის აჯანყებისთვის მიძღვილი მემორიალის მოწყობა | | წელს აღნიშნული აჯანყებიდან 100 წელი შესრულდა |
| 33 | ფალიაშვილის ქუჩაზე ე.წ. ,,ასკიბის გადმოსახედის" მიმდებარე ტერიტორიაზე სათვალთვალო ბინოკლისა და უსაფრთხოების კამერების მონტაჟი | | ხელს შეუწყობს აღნიშნული ტერიტორიის განვითარებას და ადგილზე უსაფრთხოების უზრუნველოყოფას |
| 34 | სოციალურად დაუცველი ბავშვიანი ოჯახების ხელშეწყობის პროგრამა | 30000 ლარი | უკიდურესად მძიმე პირობებში მყოფი ბავშვიანი ოჯახებისთვის საყოფაცხოვრებო ნივთების შეძენა, ყოფითი პირობების გაუმჯობესების მიზნით |
| 35 | ახალგაზრდული ინიციატივების დაფინანსებისათვის თანხის გამოყოფა | 10 000 ლარი | ახალგაზრდების ჩართულობის მიზნით მათი ინტერესების გათვალისწინებით თავისუფალი თანხის გამოყოფა და მათი იდეების დაფინანსება. |